განკარგულება:**გ-31. 31230257**

თარიღი:**25/01/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №7

2023 წლის 25 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას (ს/ნ 204852775) 2023 წლის 1-იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) მეორე სართულზე მდებარე N15 ფართი - 26.51 კვ.მ.)

მუხლი 2. სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 14015 ლარის 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს - 1401,5 ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)	შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი (კვ.მ)	სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გასაცემი უძრავი ქონების ფართობი (კვ.მ)	უძრავი ქონების ღირებულება (ლარებში)	უძრავი ქონების სწყისი საფასურიდან გასაანგარიშებელი კოეფიციენტის რაოდენობა (%)	უძრავი ქონების ქირის საწყისი საფასურის ოდენობა
ქალაქი ლანჩხუთი ნინოშვილის ქუჩა N 37	ს/კ27.06.52.141	1,650.00	26.51	26.51	14,015	10	1401,5